

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. ბარეზე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисѣ. Въ редакцію „Дროზდა“.

გაზეთის უასი: მთელი წლისა—8 მ., ნახევარ წლისა—5 მ., სამის თვის—3 მ., ერთის თვისა—1 მ.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

# დროება

უასი განცხადების: დღი ასობით ასობე 1 კაპ., ჩვეულებრივად კვირითი—5 კაპ., პატარაში—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწავროს და შეაოკლოს დასაბუქდათ ვაჲ განვილი სტატეი. დაუბუქდელი სტატეი ავტოის არ დაუბრუნდება.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

## განცხადება

უაბათს, 15 მკენისთვეს, თფილისის თეატრში წარმოდგენილი იქნება ქართულ ტრუპისაზან

### „შემოსავლიანი აღვილი“

კომედია ხუთ-მოქმედებად ა. ოსტროვსკისა.

ბილეთები ისყიდება თეატრის კასსაში. წარმოდგენა დაიწყება 8 საათზე.

(3—1)

ნახევარი წლის ხელის-მოწერა

## „დროებაზე“

მიიღება რედაქციაში—ბაღის (საღოვის) ქუჩაზე ბ. შადინოვის სახლებში, № 33

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ აღრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: Въ Тифлисѣ. Въ редакцію газ. „Дрозда“.

უასი ნახევარ წლის გაზეთისა, ე. ო. 1 იელისილამ წლის დამლევამდინ, გაზეზენიტ—ხუთი მანეთი.

## ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

მენა, 9 სექტემბერს. დღეს მოვიდა აქთ. ბისმარკი; გრაფი ანდრისში და ის ძალიან მეგობრულათ შეეყარნენ ერთმანეთს.

ლონდონი, 10 სექტემბერს. ინგლისური გაზეთი „დელი ნეუსი“ გეაცნობებს, რომ შეტურგარდენში დაბანაკებულ ინგლისის ჯარს 7 სექტემბერს აჯანყებულ ავღანელები დაეცნენ ღამით თავსაო; ინგლისელებს ბეერი ზარალი არ მისცემიათო. მეორე გაზეთში „სტანდარში“ დაბეჭდილია აღიქელილამ მიღებული ტელეგრამა, რომ ინგლისის ბანაკში 9 სექტემბერს მოვიდა იაკუბხანისაგან გამოგზავნილი ელჩიო, რომელსაც მინდობილი აქვს, ინგლისის მთავრობა დაარწმუნოს, რომ ინგლისის საწინააღმდეგოს ის არაფერს არ ფიქრობს და ჰსურს კარგი, მეგობრული

განწყობილობა ჰქონდეს ინგლისთანაო.

პეტერბურლის ბირჟა, 8 სექტემბერს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბანკის ბილეთები:	მან. კაპ.
პირველი გამოცემის	— 95 —
მეორე — — —	— 93—87
მესამესი — — —	— 93—62
მეოთხესი — — —	— 93—75
აღმოსავლეთის პირ.	— 91—87
აღმოსავლეთის მეორე	— 91—75
აღმოსავლეთის, მესამე	— 92 —
ოქრო, 1/2 იმპერიალი	— 7—84

თფილ. თავად-აზნ. ბანკის გირაოს ფურცელი — — —  
შინაგანი 5% სესხის ბილეთები

მან. კაპ.

პირველი სესხის — —	— 232—50
მეორე სესხის — —	— 225 —

1 მანეთი ღირს:

ლონდონი — —	25—06	პენსი
ბამბურლი — —	126—75	ცენტი
პარიჟი — — —	265—75	სანტიმი
მენა — — —	214—75	პჭენიგი
პავკასიის კერასინი — — —	— — —	—

## საქართველო

გადასახლებულ ქართველებზე.

რამდენჯერმე იყო ჩვენს გაზეთში გამოცხადებული, რომ ზოგიერთი იმ მაჰმადიან ქართველთაგანი, რომელნიც, სხვა-და-სხვა სამწუხარო მიზეზების გამო,

გადადიან ოსმალეთში, ისეე უკან ბრუნდებიანო; ხედვენო, რომ ისინი მოუტყუებით ოსმალს მქალაგებლებს, რომლებიც ოქროს მთებს ჰპირდებოდნენ, ოღონდ ოსმალეთში გადმოსახლდითო; რწმუნდებიანო, რომ იმათ იქ შიმშილისა, უსახლ-კარობისა და უმიწა-წყლობის მეტი არა ერგოთ-რაო; ნახესო, რომ რაც უნდა იყოს, ისეე თავის ქვეყანაში ცხოვრება და სიკვდილი სჯობიანო და უკანვე მოდიანო.

ბაზეთს „ქვეყანაში“ იყო ამას წინათ დაბეჭდილი პატარა შენიშნვა დიდორილამ (შოცხოვის მაზრილამ), რომლის ავტორი იწერებოდა, რომ რამდენიმე მოსახლე მაჰმადიანი ქართველები, რომელნიც ოსმალეთში გადასახლებული იყვნენ, ამ დღეებში უკანვე დაბრუნდნენო; მაგრამ შოცხოვის მაზრის უფროსმა არ იცის—რა ჰქნასო: შემოუშვას ისინი და დაუბრუნოს თავიანთი დატოვებული აღვილი, თუ არაო.

ეს უკანასკნელი საგანი ყურადღების ღირსი საგანია. მართლა უნდა შემოუშვას ჩვენმა მთავრობამ უკან დაბრუნებული მაჰმადიანი ქართველები და უნდა დაუბრუნოს იმათ ისევე თავიანთი აღვილ-მამული, მიწა-წყალი, სახლი და კარი, თუ არა?

ზოგიერთები ამტკიცებენ, რომ რაკი ერთხელვე წავიდნენ და გადასახლდნენ, რაკი ერთხელვე ოსმალეთში გადასახლდელი ბილეთი მიიღეს, მერე ამათი უკან დაბრუნება აღარ შეიძლებაო.

სხვები კი ამბობენ, რომ იმ დღილამ (1878 წლის 25 აგვისტოდამ), რა დღესაც რუსებმა დაიპირეს ბათუმის მხარე, სამის წლის განმავლობაში, ხალხს უფლება აქვსო, თუნდა გადასახლდებოდა და თუნდა დარჩებოდა. ბერლინის ტრაქტატის ძალით, იმათ სამი წელიწადი ვადა აქვთო.

რალა თქმა უნდა, რომ ჩვენ ამ უკანასკნელ მოსაზრებას ვეთანხმებით. ჩვენ გვეგონია, რომ სახელმწიფო და ადგილობრივი სარგებლობა მოითხოვს, რომ უკან დაბრუნებულები აღტაცებითა და სიამოვნებით მივიღოთ და, თუ თვითონვე არ გაუყიდნიათ თავიანთი აღვილ-მამული, უკანვე დაუბრუნოთ. სახელმწიფო და ადგილობრივი ინტერესი მოითხოვს, რომ ეს ჩინებული მიწა-წყალი უპატრონოთ და შეუქმუშავებელად არ დარჩეს და არ გავერანდეს; სახელმწიფო და ადგილობრივი სარგებლობა მოითხოვს, რომ გადასახლებულთაგან, გა-





დებულ ხალხში, ჩვენ არ შევიძინოთ, ჩერქეზებისებური, ახალი მტერი.

ამას გარდა ბევრი სხვა მოსახრებაც უნდა აიძულებდეს ჩვენს მთავრობას, მსმალეთილად უკან დაბრუნებული ქართველები მიიღოს:

ზადასახლებულები ხომ ემიგრანტები არ არიან; იმათ ხომ არაფერი დაუშავებიათ ჩვენი მმართველობისა და ხალხისათვის, რომ უკან დაბრუნება აღკრძალული ჰქონდეს; მომეტებული ნაწილი იმათგანი გამოსაცდელად მიდიან, თავიანთ ადგილ-მამულს გაუყიდველად სტოვებენ, და როცა მსმალეთში ცხოვრება არ ეჭაზნიკებათ, უკანვე ბრუნდებიან რა უფლებით, რომელი კანონით შეგვიძლია ჩვენ აუკრძალოთ იმათ თავის ქვეყანაში დაბრუნება და თავის ადგილ-მამულშივე დასახლება?

მსეც რომ არ იყოს, საშუალოდ გადასახლების ბილეთიც რომ ჰქონდეს იმათ, ყველა ამ საბუთებსა და მოსახრებას გარდა, თვით კაცთ-მოყვარეობაც მოითხოვს, რომ სასიკვდილოთ არ დაესაჯოთ, არ გაემეტოთ შემცდარი ხალხი, არ მოუსპოთ იმათ, დაბრუნებულებს, ყოველი წყარო და საშუალება ცხოვრებისა მხოლოდ იმიტომ, რომ უბედურებმა, უმეცარებმა გაუგონეს მატყუარა, მცბიერ აგენტებს მსმალთს მთავრობისას და, იმათის რჩევით, გადავიდნენ მსმალეთში. ძაცთ-მოყვარეობა მოითხოვს-მეთქი იმიტომ ვამბობთ, რომ მართლა ქვის გული უნდა ჰქონდეს და უგრძობბარი უნდა იყოს ის კაცი, რომელიც ნახავს ამ მსმალეთილად დაბრუნებულ ხალხის გაჭირებას, ამათ გაყვითლებულ პირისახეს, გამხდრებს; ჩამოძონძილებს, — და ეტყვის: იმათ: „წადით, დაბრუნდით ისევ მსმალეთში! აქ თქვენთვის ადგილი აღარ არისო!“

ამას გარდა არის კიდევ ერთი მოსახრება,

რომელიც უნდა გვიძულებდეს ჩვენ, რომ უკან დაბრუნებული ქართველები გულ-გაშლილად და სიამოვნებით მივიღოთ. ეს მოსახრება მდგომარეობს იმაში, რომ ეს დაბრუნებულები საუკეთესო მქადაგებლები იქნებიან იმათთვის, რომელნიც ჯერ კიდევ აქ დარჩენილან, მაგრამ გადასახლებას აპირებენ. მართი ამისთანა დაბრუნებული, რომელმანც მსმალეთში ათასი წვალება და ტანჯვა გამოიარა, რომელსაც იქ არც ადგილი მისცეს, არც თავ-შესაფარი სახლი, არც ლუკმა-პური, ერთი ამისთანა კაცი ჩაახალეთ სოფელში და, რასაკვირველია, დარწმუნებული უნდა იყვნეთ, რომ ამ სოფელილამ მერე არცერთი კაცი აღარ გაივლებს ტყინში გადასახლებას. ჩვენ არა გვეყავს ისეთი დახელოვნებული, ფანატიკური მქადაგებლები, როგორც მსმალელებ; ეს დაბრუნებული უნებური მქადაგებლები იქმნებიან ჩვენ-და და თავის-მომძმეთა სასარგებლოდ, და ნუ თუ გონიერება მოითხოვს, რომ ეს გზაც ჩვენისავე ხელით მოვიპოოთ?!

მიმეორებთ, არც სახელმწიფო და ადგილობრივი ინტერესი, არც ბერლინის პონგრესის გარდაწყვეტილება, არც რუსეთის კანონი და არც კეთილ-გონიერება და კაცთ-მოყვარეობა მოითხოვს ჩვენგან, რომ მსმალეთილად უკან დაბრუნებულ ქართველებს გზა შეუკრათ, აღარ შემოაღწვათ ისინი თავიანთ ქვეყანაში. პირიქით, ყოველ გვარი მოსახრება, გრძობა და გონიერება გვეუბნება, გვირჩევს ჩვენ, რომ, თუ ღმერთმა ჰქნა და დაბრუნდნენ, ხელ-გაშლილად, ძმურად და სიყვარულით მივიღოთ.

ს. მ.

### დღიური

\* \* \* ბუშინწინდელის დღისთვის, ორ-

მოგახსენო, თათრის დროს ცხოვრება უფრო ადვილი იყო, იფრობა იყო.

მტყობა, ამ ბებრუცანამ არ იცის, რომ მაგისი თხოვნა რომ აღვასრულო, რამთონი სახელი დამერქმევა... ბავის-ტუმრე ნაჩაღნიკთაც, რომ იქმნება დაინახონ ამისი „სახე“ და შეიბრალონ.

მე დავრჩი მძიმე შთაბეჭდილებით. შეველა მძიმე შთაბეჭდილება კაცს ჩააფიქრებს, აჭყავს მალლა ოცნების თაროზე; მოჰგერის სურვილს შეიტყოს მიზეზი, რომელმანც ის საგანი მოიყვანა იმ ხარისხამდინ რომ განდა მიზეზი მაგისთანა მძიმე შთაბეჭდილებისა.

მიზეზი ყველა კუდი მიმართულებისა; ავი ლტოლვილებისა; არის ერთი სიტყვა, ამ სიტყვას ქართულად აქვს მშვენიერი სახელი — „სიღარიბე“ — და მას ჰყავს განუყრელი ძმობლი — „გაუნათლებლობა“. მსენი შობენ მატყუარობას, პირმოთხეობას, ზნეობით დაცემას, შურს სულ-მოკლეობას, უიმედობას და მტაცებლობას..

რადგან დღეს ამ მტაცებლობამ იმ

შაბათისათვის, დანიშნული ქრება-შოლა-ქის რჩევისა ვერ შესდგა, რადგან სსკმთარიცხვი ვერ მოგროვდა ხმოვანებისა.

\* \* \* ხვალ, 13-სა და ზეგ, 14-ს, ძახეთის სოფ. ალავერდში დიდი დღესაწაულობა; აქ გროვდება ხალხი თითქმის მთელი ძახეთილამ, ხევსურეთილამ, მონხევილამ და სხვა მთიულებიც; იმართება ჯირითი, ცხენის ქენება, ჭიდაობა და სხვა თავის შექცევა. წელს, ამბობენ, ალავერდობაზე მთილისილამაც ბლომად მიდიანო.

\* \* \* ჩვენ გვითხრეს, რომ რაც ძველის-ძველად ვანთქმულს შიო-მღვიმევის უდაბნოს მონასტერში ძველი ხელთნაწერი წიგნები იყოვო, სულ ძესარიოს არხიმანდრიტს ჩამოუტანია მთილისში. სასურველია შევიტყოთ — თუ რისთვის ჩამოიტანა სხენებულ პატრიკეპულ პირმა ეს ხელთნაწერები შიო-მღვიმევილამ, და კიდევ უფრო სასურველი ის არის, რომ ის ძველი წიგნები ქარველობას არ დაეკარგოს...

\* \* \* ჩვენ შევიტყეთ, რომ ამ 2 ოქტომბერს სოფ. რუისში იხსნება სასოფლო შკოლა. როგორც გვაცნობეს, შკოლა კარგ საფუძველზე იხსნება, საშუალება ექნებაო, სახლიც კარგი აქვთ და მასწავლებელსაც წელიწადში ოთხასი მანეთი ეძლევაო.

რუისის შკოლის დაარსების მოთაგობა, როგორც გვითხრეს, ეკუთვნის ამ გვარს საზოგადო კეთილ საქმეებში ყოველთვის თავგამოდებულსა და პატიოსან მოღვაწეს ძოსტ. ძრ. მამაცაშვილს.

\* \* \* რაჭილამ გვეწერენ, რომ იქაურ უწერის მადნის წყლებზე წელს ძალიან ბევრი ხალხი იყოვო, მაგრამ ამ წყლებმა მომეტებულ ნაწილს, სარგებლობის

## ფელტონი

### საუბარი უსაქმო კაცისა

ზხეგარ. მწერ. საწერი ბევრია, მაგრამ კალამს ეღება უშველებელი ლოდები... აჰა სურათი, აჰა სახე კაცისა: ნელ-ნელა შემოდის, მოახლოვდება ჩემს საწერ სტოლს პატარა მოკუნტული მუშტის ოდენა ბებერი დედა-კაცი. არც ფერი აღევს, არა აქვს ხორცი და არც კბილები! სახე?! ღროს კბილები გამოურთმევი; დარდს და სიღარიბეს ხორცი და ფერი!


— რა გნებავს, დედილო!

— მართი წიგნი დაგვიწერე, შენ გაზდას, ჩვენი ღარიბების მხრით ნაჩანიკთან, რომ ეს სიძვირე ნუ იქმნება! წერილ-შვილის პატრონები ვართ, ცხოვრება გვიჭირს. შეველაფერი ცეცხლის ფსად გადიქა. თქვენი მოსვლა გაგვენარდა და კიდევ გვიხარია, მაგრამ, სწორედ

ოცნების თაროზე ამიყვანა, მისთვის ერთი ორი სიტყვა უნდა დავხარჯო „თუ რომ თქვენი ნებაც იქნება“.

მტაცებლობა-ავაზაკობა ორ გვარია: ჰო და არა კეთილ-შობილური, ე. ი. კეთილ-შობილური „და არა კეთილ-შობილური. პირველის მომქმედი პირები არიან: ღარიბი, გაუნათლებელ-გაუზღველი ადამიანები, მეორისა — განათლებულნი, კეთილ-შობილნი, მდიდარ-გაზღვილნი. პირველნი მტაცებლობენ-ავაზაკობენ მითომ, რომ თვითონაც არ იციან — რასა სჩადიან; გაუნათლებლობა აბნელებს სინილისს, ფანატიკობა უნათლებს; უადვილებს გზას ამისთანა სასირცხვო საქმეში! პირველნი რასაც შერებიან, არ იციან; მეორეებმა იციან და შერებიან; პირველნი, როცა სცოდამენ, თავიანთ სიცოცხლეს აგდებენ საცოთურში, ცდილობენ ქონება წაართვან, მაგრამ სიცოცხლეს არ შეეხონ, სისხლი არ მოადინონ; ისინი ყაჩაღობენ, ართმევენ მდიდარს იმას, რაც მომეტებულია მასთვის; მაგრამ მეორები — კე-





ინტერვიუ

მაგიერ, ვნება მოუტანაო. ამის მიზეზ კორარისპონდენტის აზრით, ის არის, რომ უწერაში ბევრგვარი მადნის წყლები არისო, ათას ნაირი ავთამყოფი მოდისო და ვინც როგორ წყალში მოხვდება, იმ წყალში ბანობსო; არაინ არ იცისო, ვის, რომელ ავთამყოფს რა გვარი წყალი მოუხდებო და სხვა.

ამის გამო აუცილებლად საჭირო არის, რომ ეს წყლები გამოკვლეული და იყოს საქვეყნოთ გამოცხადებული—თუ რა-და-რა წყლებია ამ სოფელში და რომელი წყალი რაგვარ ავთამყოფობას მოუხდება.

ამას გარდა მთელს რაჭაში მხოლოდ ერთი ექიმი არის (ქ. მწში) და უაქიმობით ავთამყოფები ძალიან შეწუხებული არიანო.

ძორრესპონდენტი უჩივის კიდევ იმას, რომ უწერაში თითქმის ერთი ხეირიანი სახლი არ მოიძებნება, სადაც ავთამყოფს მოსვენებით და უნაკლულად შეეძლოს ცხოვრებაო.

წერილი რედაქტორთან

შვალო რედაქტორო!

სახელი თქვენის ღირსად პატივცემულის გაზეთისა მარწმუნებს, რომ ჩემისთანა ქერბ-ოხერისა და საწყლის დამჩაგვრელის დამმარცხებელი ყოფილა. ამას წინათაც ერთ პირს რაღაც ვერაგობა შეაპჩნიეს; ეს ვერაგობა თქვენს გაზეთში ჩაუწერეს და, თუ ადგილობრივი მთავრობა არ დახმარებოდა დამნაშავეს, დამნაშავეს საქმე ძრიელ ცუდით მიდიოდა.

ახლა რადგანაც ჩემისთანა დაჩაგრულის ნუგეში და თვალ-ყურის მჭერელი ყოფილა თქვენი გაზეთი, მისთვის ვიტყვი ერთ-ორ სიტყვას ჩვენი სოფლის

სუღიანედ და თქვენა გთხოვთ ამ ქვე მოთ მოყვანილს ოთხიოდე სტრიქონს დაუთმოთ ადგილი თქვენს გაზეთში.

მოგეხსენებათ, წელს მიწის მოსავალს ყველგან გაჭკრა მკალიამ; ცოტ-ცოტა ვისაც რა დარჩათ, ყველამ მოიტანეს სახლებში და გაღწეეს. მაგრამ რა გაღწეეს? როგორც სხვა წლებში, რომ ზამთრამდის ლეწამდნენ და რასაც ველარ ასწრობდნენ გაზაფხულისათვის ინახამდნენ. ისე ხომ აღარ იყო. ჩვენში რომელთაც დიდი ხენა და თესვა ჰქონდათ, იმათი კალოები 8—9 დღეს არ გასცილებია, და აბა იფიქრეთ ვისაც ცოტა ხენა და თესვა ექმნებოდათ, იმათი რაღა იქმნებოდა.

სხვათაშორის მეც, როგორც შეეფერებოდა ჩემს ქერბ-ოხრობას, მქონდა ერთი-ორი დღის ყანა და რაც მკალიას გადავარჩინე, მოვიტანე კალოზედ და დავდგი. შემოგჩვივნენ ჩვენი სუღის ოქლო შოქოაშვილის ქათმები და რაც მკალიას ვადარჩა, ახლა ამათ გამოვიტრეს საქმე. მე მყავს გათხარულებს გარდა ორი ქალი პატარები, ერთი 9 წლისა და მეორე 11-სა. ამ ჩემს ქალებს დენახათ სხენებული სუღის ქათმები ძნას ეხვევიან მაშინვე თურმე გააფრთხეს ძნიდგან; ამ გაფრთხობაში, მოვარდნოდა სხენებული სუღის ვაჟი და დაეწყო ჩხუბი, თუ რათ გააფრთხევით ქათმებო. ეს ბოგმეები ერთმანეთს დასეოდნენ, სუღის ცოლიც თავის შვილს მიშველებოდა და ძრიელ ეცემნათ ჩემი პატარა ობლებისათვის.

მე როგორათაც მშობელ დედას ძრიელ შემეწუხა, თვალ-ცრემლი ვადმომცვივდა და მწუხარება შემომაწვა გულზედ, რომ ჩემი პატარა ობლები დალახულები საცოდავთ ბლაოდნენ. ამათ საცოდაობის მყურებელი გაბრაზებული მივედი სუღის ცოლთან და უთხარი თუ რას ემართლებოდა, რომ ჩემს ობ-

ლებს ისა სცემდა. ამან დამაწყო ცუდის სიტყვებით ლანძღვა, რომ აუცილებელად იმათ ასე უნდა ექმნათ, მისთვის რომ მის ქმარს მენდალი ჰქონდა და როგორ გაუზედეს მის შვილს წინააღმდეგობა და სხე...

პატარა ხანს უკან, როდესაც მე იმათგან წამოველი, მოსულყოფი სხენებული სუღია და მსწრაფლ მაშინვე ცოლს ამბავი მიეტანა, რომ ვითომც ჩვენ ვიყავით დამნაშავეები და ვითომც როგორ რათ ეკადრებოდა, რომ იმას სიტყვის სამაგიერო პასუხი მივეცი. ეს სუღიაც ცოტათი კი არა და კარგათ ტინტრილუცაა, თუ ერთი ვინმემ რამე უთხრა, ის არის, როგორც პილილი; ისე გაცხარდება ხოლმე. მომივირდა სახლში და ისე დავგაწიოკა და ისე ვაგვლანძღა, რომ ცოცხლები არა ეყოფილიყავით, ათი-ათასჯერ გვერჩინა. რომ უფრო ჯავრი ააოყვარა და ჩვენი თავი მიწასთან გაესწორებია (უწინ იმისი თავი), აი რა მოახდინა ჩვენმა სუღიამ:

ჩემს ნათლიას ს. რუისში მცხოვრებელს ჰქონდა მღვთის-მშობლის სახელზედ ერთი პატარა ქოცოა ზედაშეთ ღებო; როდესაც აეხანა, ენახა, რომ დამმარებულიყო. ამ ძმრისა ორი თუნგი ჩემთან წამოვიღო. დაუნთა გზაზედ სოფელში სხენებული სუღია და წაართვა ჩემს ნათლიას ის ძმარი და შეიტანა თავის სახლში და თან აგინებს უშვერის პირით, თუ როგორ გაბედა, რომ მან უპატენტოთ ძმარი შემოიტანა სოფელში! ბევრი ეხვეწა სხენებულ რუისელ, დიდი ხანი თავს დასტრიალებდა ძერასავით, რომ არ ვიცოდი თუ როდესაც ნათესავთან ძმარს წავიღებდი, პატენტი დამჭირდებოდაო, თორემ არც პატენტს ავიღებდი და არც წამოვიღებდი და ღვთისგულისათვის საქმეს ნუ გამიბამ, ერთი საწყალი გლენი კაცი ვარ, ჩემს გზაზედ წავალო. სუღიამ იმისი

თილშობილნი ავაზაკნი არ ვის იბრალლებენ: მზათ არიან ყველა საზიზლარი საქმე მოახდინონ, როცა ავაზაკობენ: სისხლიც მოახდინონ, კაციც დალუბონ, გაუპატიურონ და თუ საჭიროება მოითხოვს, უფრო უარესი ქმნან. ისინი მდიდარს იბრალებენ, ღარიბის სისხლსა სწოვენ... პირველნი ცდილობენ, რომ მშვიდნი არ მოკვდნენ; მეორებს ბევრი აქვს და უნდათ, ცდილობენ, რომ კიდევ, კიდევ და კიდევ ჰქონდესთ!

პირველებზე მეფობს განათლება, მეორეზე გაუნათლებლობა და პირველები რომელნიც არიან მიზეზნი ამ მეორების უბედურებისა. ახლა რომლები არის ჩვენში გამრავლებული? პირველნი თუ მეორები პირველი (კეთილშობილებზე) რომ ესტქვა „არის“ (სიტყვის ნება მამეცით, ყოველს გეტყვით), კაცს ეწყინება; „არ არის“ ესტქვა—ღმერთს. პაცის წყენა საცდურში შეგვიყვანს, ღმერთისა—ჯოჯობნეთში! აბა რა ექნა? მაგრამ, თუ გინდ არარის ესტქვა, თუ

გინდ არის, მაინც ორივე „არისით“ თავდება...

მეორები კი ღვთის მადლით ყოველგან მოიპოვებიან.

ჯერ აქ ორი შემთხვევა იყო საყურადღებო, პატარა-მაჭახელისკენ კი, როგორც გვესმის, მრავალნი. პატარები ძრიელ შინაურულად მოიქცნენ: წართვეს ნივთი, ფულები (ეს მოხდა არდანუჯის ახლო სოფელს ასაშენთან, დღისით), თვით პატრონებსვე დააფასებინეს, რომ გაყოფის დროს ცოდვა და ჩხუბი არ მოგვივიდესო! ხედავთ, ამათაც სცოდნიათ ცოდვა და მადლი; ხედავთ, არ უნდათ ერთმანერთის დაჩაგვრა!!! ეს პირველი.

მეორე შემთხვევა იყო შურაანი, თამამი და მოხდა ს. რაბათში (იქმნება არდანუჯიდგან 15 ვერსი), საცა ცხოვრობენ სომხები; ამათ დაეცნენ და გაცარც-გასტყვეს. მ-ცდა ხუთი ყოფილან. იმათ იმდენად ფულის შექმნის სურვილი არ ჰქონიათ, რამდენათაც შური და ჯავრის

ამოყრა, ისე რომ იქაურებს ისე ჯიბე არ სტკივოდათ; როგორც ზურგი...

როგორც ყველა ღვთის თავისი ღამე აქვს, ისე ყველა დანაშაულობას თავისი სარჯელი და სამართალი უნდა ჰქონდეს. ახლა, ჩემო მკითხველო, ამ ორივე მტაცებლების (კეთილ და არა კეთილშობილურს) სამართალს შენ მოგანდობ: შენ გაასამართლე სინილისით, შენ იყავ უქრთამო მოსამართლე. ამ შემთხვევაში ძრიელ ცოტას მოგეხმარები. მე არა-კეთილშობილური მტაცებელი რომ შემხვდეს (თუ გინდ უკანასკნელი კაპეიკიც წამართვას), შებრალებითად გაუღიმილებ და იმავე დროს გაგკიცხამ, დავსწყევლო; კეთილ-შობილური მტაცებელ-ავაზაკებთ ისე, როგორც ჩვენში წესია: შვილი გაგვაჯავრებს, მამას შევეუკურობნებთ...

ს. ბაგველი.

არდანუჯი 2 სექტემბერს.





სიტყა არაფრათ მიიღო და თან კიდევაც ემუქრებოდა, რომ ამ საქმეს დიდ ადგილას წარვადგენ და ნახე რა გიყონო.

ჩვენც როგორც გამოუცდელი, მართალი გვეგონა, უთუოდ ასე იქნებოდა, პატენტი ხდომებოდა და იმ ხელათ ისე შევწინდით, რომ გვეგონა თუ მართალია დიდ ადგილს მოახსენებს, აუცილებლად სამიბრში გაგვგზავნიდნენ.

ბოლოს ჩვენი მცხოვლობანი შევხვეწენ, რომ სა-დიდ-ადგილოთ ნულარ გაუხდით. მაღლია აქაც გაუთავე საქმეო... ასე რომ ის ძმარი გაყვეს შუაზედ, ნახევარი სუდიას მივეციო და ნახევარი ჩვენ წამოვიღვეით...

ღვსაც არ ვიციოთ მართლა, ნათესავმა რომ ნათესავს ძმარი მიუტანოს უპატენტოთ, დაეშლება თუ არა? \*) ბევრი გვარწმუნებენ, რომ ტყუილათ შეწინებულხართ და ნახევარი ძმარიც ტყუილათ მიგიციათ სუდიასათვისაო, ვის გაუგონია, რომ ნათესავმა-ნათესავს რამ მიუტანოს და პატენტი აიღოსო; სუდიას მოუტყუილებია თქვენი თავიო, შე ეხლა ცოტათი ვრწმუნდები, რომ სუდიამ მოგვატყუილა მისთვის, რომ ვიღრე ძმრიდამ ნაწილს მივეცემდით, მთავრობის წინააღმდეგობა იყო და როდესაც ნაწილი მივეციოთ, მაშინ აღარა უშავს-რაო! აქედამ სჩანს, რომ ან მე მომატყუილა, ან მთავრობას გაუწივა ორგულობა,

ამისათვის გთხოვ, ბატონო რედაქტორო, მიიღოთ შრომა და თქვენ გაზეთში, რომელშიაც ეს იქმნება ჩაბეჭდილი, გამოამიციხადო სახალხოთ, რომ ეს სუდია როგორ მოქცეულა; მართლა, პატენტი უნდა აეღო, როდესაც ორ თუნგ ძმარს მომიტანდა თუ არა.

ჭვრივი ანა აგრიძისა.

\*) რასაკვირველია, არ დაეშლება. პატენტი მართლ გასასყიდ საქონლისათვის არის, ისიც როცა დუქანია.

# უცხო ქვეყნები

## ოსმალეთი

პრის ფრანკუზულს გაზეთში დაბეჭდილია სტამბოლიდამ მიღებული კარგესპონდენცია, რომლის ავტორი, სხვათა შორის, მცირე აზიის საქმეების შესახებ ამბობს:

„იმ კომისიას, რომელსაც მინდობილი ჰქონდა აღმოასკლეთ რუმელიისათვის კანონების შედგენა, ახლა მოუვიდა წინადადება, რომ შეადგინოს ამგვარივე წესები სომხეთის გამგეობისა. ამ ნაიზად, უეჭველია, რომ სომხეთსაც ისეთივე ავტონომია (საკუთარი მმართველობა) მიენიჭება, როგორც რუმელიას მიანიჭა ბერლინის ქონგრესმა.

„მოგეხსენებათ, რომ სომხეთის სამხლვარზე, შურთის ტანში, ამ ქამად ხალხის არეულობაა. ოსმალოს მთავრობამ არზრუმის ლუბერნატორს იზმაილ-ფაშას მისწერა ჯარის წაყვანა და დამშვიდება აჯანყებულებისა. მაგრამ იზმაილ-ფაშა თვითონ ქურთია და, უეჭველია, მაინცა-და-მაინც არ მოინდომებს იმათ სისხლის დაღვრას; არც ოსმალოს ჯარები ესვრიან თოფს თავის თანამორწმუნე მამადიანებს.

„თუ ამ ქურთებს შეუერთდნენ სომხებიც, რომელნიც კარგათ დაიარაღებული არიან, მაშინ ოსმალეთის საქმე მცირე აზიაში ძალიან ცუდათ იქნება. მეროპა გაერევა ამ საქმეში და ვინ იცის, იქნება ისე გათავდეს სომხეთის ბედი, რომ ხონთქრის მარტო ხსენება დარჩეს იქ, მარტო ხარჯი მიაცემინონ იმისთვის და სხვაფრივ სულ გაათავისუფლონ სომხეთი, საკუთარი მთავარი მისცენ ან სხვა გვარად როგორმე მოათავსონ იმის საქმე.

## რუსეთი

### ქარაიზული

რუსული გაზეთის „ბიკოლინი“ მისტყუით, ახალ-ტყეს ეგსპედიცია ჯერჯერობით რუსიის მმართველობას რვა ძილიონ მანეთად უღირს.

# განცხადებანი

თელავის უეზლის სოფ. ყვარალში **მიცაგა არენლით გააუღი:** ვენახები, სახნავ-სათესი ადგილები, ტყე, სახლი თავის მარნით, წისქვილით და სხვა ყველაფრით მოწყობილი.

დაწვროლებით პირობების შეტყობა შეიძლება თფილისში, ძამენდანტის ქუჩაზე, არშაკუნის სახლების (ძრუტოკის) გვერდით, ეზოში, ავთანდილოვის სახლებში, № 36.

(5-2)

გამოვიდა და ისყიდება „ცენტრალურ წიგნის მაღაზიაში“ უ. იონისიანთან

## პირველ დაწყებითი სწავლა

ქრისტიანებრივის მართლადიდებლობითის სარწმუნოებისა.

დ. სოკოლოვისა.

რუსულიდამ გადმოთარგმნილი ზ. დიდებულიძისაგან.

შასი სასწავლებელთათვის . . . 50 კ. სხვებთათვის . . . . . 60 კ.

(4-2)

კა. გზა.	ლით.	სალამ.	II კ.	III კ.	ტელეგრაფი	მან. კაბ.	მაზანდა	მან. კაბ.	თფილისის სამკურნალო.
თფილისი . . .	9 21	5 18	8 კაბ. მ. კაბ.		მ.ცი სიტყვა თფილისიდან.		თფილისი 11 სექტემბ.		ქრეფ. მ.იღ., წინამძღვროვ. სახლი.
მცხეთა . . .	10 11	6 27	- 85 - 44		ქაქასიის აქეთა მხრის ყველა		შქვ. თეთ. ბანჯისა ფუთ.	2 50	ავათმყოფებს მიღებენ ყოველ
ზორი . . .	11 58	9 43	3 „ 1 53		ქალაქებში . . . . .	50	შქვ. წითელი . . .	1 80	დღე დილის 8 საათიდან 10-დინ.
ხაშური . . .	1 29	11 57	4 73 2 42		როსტოვს, მდესას, მოსკოვს,	2	შერი ფუთი . . .	1 40	მ. რ შ ა ბ ა თ ს: ლისიცივი და
სურამი . . .	1 44		4 90 2 61		პეტერბურღს, მარშავს . . . . .	2	ბაბა ქრეფისა, ფუთი.	8 40	მარლევინი—შინაგ. ავათმყოფობის.
შერილა . . .	5 49		7 21 3 69		ოსმალეთში, შვეიცარიაში . . . . .	3	— ამერიკისა, ფუთს . . .	9 20	ს ა მ შ ა ბ ა თ ს: შერმიშვეი შინაგ.
რონი . . .	6 57		8 44 4 31		იტალიაში და საფრანგეთში . . . . .	3 50	ბავენტილი ბაბა ფუთი.	10 60	ავათმყოფ.; რეინი—თვლის, შურავ-
სამტრედია . .	7 51		9 66 4 93		ინგლისში. . . . .	3 75	მატყული თუშური ფუთი.	8 40	ლევი—ვენერიულის, და კანისა; ბა-
ახალ-სენაკი	8 43		10 71 5 47				— თ. რაქამისა ფუთი . . .	4 20	ბოიი—გულისა და შინაგ.
შოთი . . .	9 50		12 24 6 26		<b>ფოქტა</b>		აბრეშუმა ნუხური სტ.	2 10	მ თ ხ შ ა ბ ა თ ს: ლისიცივი—ში-
შოთი . . .	9 3				ა) თფილისიდან: სამზღვარ გა-		ქონი ფუთი . . .	5 70	ნაგ, ასტუა-ცატუროვი—ქალისა და
ახალ-სენაკი	10 14		1 53 - 78		რეთ, შურთის, რუსეთს—ოველ		ქონის სანთელი ფუთი.	7 60	ბავშვების ავათმყ.
სამტრედია . .	11 5		2 61 1 33		დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და		სტეარინის სანთელი ფ.	11 80	ს უ თ შ ა ბ ა თ ს: შერმიშვეი—ში-
რონი . . .	12 13		3 84 1 97		ხუთშ. მ. შურ.—პარასკ. და ორშ. ქა-		ხორცი ძროხისა . ლიტრა		ნაგ. ავათმყოფ. და შურავლევი—კანის
შერილა . . .	1 18	დამგ.	5 3 2 56		ხეთს—სამშ. და შაბ. ბ) შურთაი-		— ცხვრისა, ლიტრა . . .		და ვენერიულის.
სურამი . . .	5 12		110 7 34 3 74		სილამ: თფილისისა და შოთისაკენ—		სპირტი ვეღრო . . .	4 50	პ ა რ ა რ ა ს კ ე ვ ს ი ქ ნ ე ბ ი ა ნ: ლი-
ხაშური . . .	5 39		1 37 7 51 3 84		ყოველ დღე კვირას გარდა. მ. შურ-		შეკარი ბროც. ფუთ . . .	7 35	ცივი, შინაგ.; ასტუა-ცატურ ოვი—ვე-
ზორი . . .	7 5		4 89 24 4 73		გეთს—ორშ. და პარასკ.		— ფხვნილი ფუთი . . .	5 70	ნერ. და კანის; ბაბაევი—გულისა და
მცხეთა . . .	8 50		6 59 11 39 5 82		წიგნის გაგზავნა რუსეთში	კაბ	შავა რგვალი გრვ. . .	— 65	შინაგ. ავათმყოფ.
თფილისი . .	9 31		7 56 12 24 6 26		და სამზღვარ გარეთ:		ზეთი ქუნჯუთისა ფუთი.	15 8	შ ა ბ ა თ ს: შერმიშვეი, შინაგ.; შურ-
					ლა წიგნის . . . . .	3	თამბაქო საშუალო ფთ.	6 60	ავლევი.—ვენერ. და კანის რეინი—
					დაბეჭდილის (სამი მისხალი) . . . . .	7			თვლის.